პროექტი

საქართველოს კანონი
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 18.01.2005) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ან სასამართლოს.“;

2. 45^1 მუხლის მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი არის ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი.“;

3. 45^1 მუხლის 11^3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11^3. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით, მოტივისა და საფუძვლის მითითებით ეცნობება მაუწყებელს.“;

4. 45^1 მუხლის 11^5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11^5. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზაცია განახლდება მაუწყებლის მიერ დარღვევის აღმოფხვრის დადასტურებიდან 7 დღის ვადაში კომისიის მიერ მისი ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების მომენტიდან.“;

5. 45^1 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლობის განახლება ხდება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების შემდეგ კომისიისათვის საქმიანობის განახლების შესახებ შეტყობინების გაგზავნისა და კომისიის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ.“;

6. 59^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე

რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. დაუშვებელია ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ამ კანონის მე -14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება.";

7. 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,3. მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე, <u>გარდა ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული შინაარსის მქონე რეკლამისა.</u> წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს."

8. 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ და 3² პუნქტები:

,,3¹. იკრძალება ისეთი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას, ქმნის რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს, მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ ან დისკრიმინაციისაკენ.
,,3². თუ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმწოდებელი და მაუწყებელი ვერ თანხმდებიან იმაზე, შეესაბამება თუ არა პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ამ მუხლის 3¹ პუნქტის მოთხოვნებს, დავას წყვეტს კომისია ერთ-ერთი მხარის მიერ მისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაადგენს, რომ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა შეუსაბამოა ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, მაუწყებელი უარს ეტყვის რეკლამის მიმწოდებელს რეკლამის განთავსებაზე, რაც არ ართმევს რეკლამის მიმწოდებელს უფლებას, წარუდგინოს მაუწყებელს კორექტირებული პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ან სხვა რეკლამა ასეთი რეკლამის ჩანაცვლების მიზნით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.";

9. 66¹ მუხლის 2¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2² და 2³ პუნქტები:

,,2². არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დასრულებამდე, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის ამ კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით.

2³. არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დასრულებამდე, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს (საარჩევნო ადმინისტრაციის გარდა) მიერ მაუწყებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის გავრცელებამდე მაუწყებელი ვალდებულია ინფორმაციის წარდგენიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში მიმართოს კომისიას შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით. კომისია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის წარდგენილი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციად მიჩნევის/არმიჩნევის თაობაზე დასკვნას გასცემს 3 სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ დადგინდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის წარდგენილი ინფორმაცია არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მაუწყებელი ვალდებულია არ გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია";

10. 71-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მოთხოვნათა დარღვევა, მათ შორის, მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო ბადიდან კანონშესაბამისი წინასაარჩევნო რეკლამის საარჩევნო სუბიექტთან შეთანხმების გარეშე ამოღება გამოიწვევს მაუწყებლისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი წესით.";

11. 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია განიხილავს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საკითხს, თუ ლიცენზიის მფლობელი:
ა) არღვევს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნებს ან სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა;
ბ) არის ამ კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი.".

მუხლი 2.
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი